საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

KA000032367898018

№3883

26 / აპრილი / 2018 წ.

ირინა გურგენაშვილს

ქალბატონო ირინა,

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე შემოსული თქვენი 2018 წლის 18 აპრილის N1/8911 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2004 წლის იანვრიდან 2013 წლის 17 ნოემბრამდე საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შეწყალების საკითხთა კომისია შეიკრიბა 45-ჯერ. ამავე პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის მიერ სულ შეწყალებულ იქნა 34 947 მსჯავრდებული და სასჯელმოხდილი პირი (მათ შორის, 1 777 ქალი), აქედან: 2004 წელს - 245 (მათ შორის, 41 ქალი); 2005 წელს - 328 (მათ შორის, 11 ქალი); 2006 წელს - 119 (მათ შორის, 4 ქალი); 2007 წელს - 1 013 (მათ შორის, 48 ქალი); 2008 წელს - 2 832 (მათ შორის, 181 ქალი); 2009 წელს - 989 (მათ შორის, 20 ქალი); 2010 წელს - 1 299 (მათ შორის, 87 ქალი); 2011 წელს - 787 (მათ შორის, 39 ქალი); 2012 წელს - 3245 (მათ შორის, 178 ქალი); 2013 წლის პირველი იანვრიდან 17 ნოემბრამდე - 24 090 (მათ შორის, 1 168 ქალი); 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გამოცემული 4 განკარგულების საფუძველზე 22 920 პირი გათავისუფლდა ძირითადი და დამატებითი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან და მოეხსნა ნასამართლობა.

ამას გარდა, გაცნობებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მიერ 2013 წლის 17 ნოემბრიდან დღემდე სულ შეწყალებულ იქნა 3 861 მსჯავრდებული და სასჯელმოხდილი პირი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი